პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 223 (6278)

1978 წ. 15 ნოემბერი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ჭადრაკი

### 50 წლის შემდეგ...

ბუენოს-აირესში (არგენტინა) დაიწყო 23-ე საჭადრაკო ოლიმპიადა მოიგო უნგრეთის ნაკრებმა (37 ქულა). ოლიმპიური თასი მესამედ გაემგზავრება ბუდაპეშტში. საქმე ისაა, რომ უნგრელებმა გაიმარჯვეს მოჭადრაკეთა I (1927 წ.) და II (1928 წ.) ოლიმპიადებში იმდროინდელი გამოჩენილი დიდოსტატის გ. მაროცის თავკაცობით.

50 წლის შემდეგ უნგრეთის მოჭადრაკეთა ახალმა თაობამ სახელგანთქმული დიდოსტატის ლ. პორტიშის ხელმძღვანელობით კვლავ მახელა თანამემამულენი. ამჟამად უნგრეთში 16 დიდოსტატი ცხოვრობს, მათგან საუკეთესონი — ლ. საქსი, ზ. რიბალი, ა. ადორიანი და თვით პორტიში ოლიმპიური გუნდის ძირითად ბირთვს შეადგენდნენ.

სპეციალისტების აზრით, უნგრელების გამარჯვება სავსებით დამსახურებულია.

სსრ კავშირის გუნდი ოლიმპიადებში მონაწილეობს 1952 წლიდან და თორმეტჯერ გახლდათ თასის მფლობელი. ამჯერად იგი მხოლოდ II ადგილზეა (36 ქულა). გუნდში არ იყვნენ მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი და ექს-ჩემპიონი მ. ტალი.

სსრ კავშირის გუნდის წევრებმა ასე ითამაშეს: ბ. სპასკიმ 7 ქულა მოაგროვა 11-დან, ტ. პეტროსიანმა — 6 ქულა 9-დან, ლ. პოლუგაევსკიმ — 8 ქულა 11-დან, ა. გულკომ — 2 ქულა 5-დან, ო. რომანიშინმა და რ. ვაგანიანმა — 6,5-6,5 ქულა 10-დან.

აშკარად წარუმატებლად თამაშობდა სსრ კავშირის ჩემპიონი გულკო, რომელმაც ერთი პარტია მოიგო, ორი წააგო და ორიც ყაიმით დაამთავრა.

III ადგილზეა აშშ-ს გუნდი — 35. შემდეგ არიან გფრ (33 ქულა), რუმინეთი, ისრაელი (32,5-32,5), პოლონეთი, დანია, ესპანეთი, შვეიცარია, კანადა (32-32).

ოლიმპიადის საზეიმო დახურვაზე უნგრეთის გუნდს გადაეცა ჰამილტონ-რასელის გარდამავალი თასი, რომლითაც 1927 წლიდან აჯილდოვებენ ოლიმპიურ ჩემპიონებს. გუნდის წევრებმა ჩემპიონის ოქროს მედლები მიიღეს.

### გამარჯვება ბაქოში

**საქართველოს** მოჭადრაკეთა ნაკრები მუყაითად ემზადება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის. თეორიული მეცადინეობის პარალელურად ნაკრების წევრები მონაწილეობენ სხვადასხვა მნიშვნელოვან შეჯიბრებაში.

ამას წინათ საქართველოს გუნდმა იასპარეზა ბაქოში ლიტვის, მოლდავეთისა და აზერბაიჯანის გუნდებთან.

რესპუბლიკის ნაკრებში იყვნენ: ვაჟები — დიდოსტატები ბ. გურგენიძე, ე. გუფელდი, საერთაშორისო ოსტატი გ. ზაიჩიკი, ოსტატები ზ. სტურუა, ი. ჩიქოვანი, ოსტატობის კანდიდატები ზ. აზმაიფარაშვილი, დ. გეღევანიშვილი, ქალები — ოსტატი თ. ხუგაშვილი, ოსტატობის კანდიდატი მ. წერეთელი.

I ტურში ჩვენი წარგზავნილები დამარცხდნენ აზერბაიჯანის ნაკრებთან — 2,5:6,5. მოლდავეთმა მოუგო ლიტვას — 5,5:3,5. II ტურში საქართველოს მოჭადრაკეებმა სძლიეს ლიტვის გუნდს — 5:4, აზერბაიჯანელები დამარცხდნენ მოლდავეთის წარმომადგენლებთან — 4:5. III ტურში ჩვენმა ოსტატებმა დიდი ანგარიშით (7,5:1,5) მოუგეს მოლდავეთის გუნდს. ყაიმით (4,5:4,5) დამთავრდა ლიტვა — აზერბაიჯანის მატჩი.

ამრიგად, საქართველოს და აზერბაიჯანის გუნდებმა 15-15 ქულა მოაგროვეს. რადგან ჩვენმა მოჭადრაკეებმა ორი მატჩი მოიგეს, I ადგილი მათ ხვდათ. ლიტვისა და მოლდავეთის მოჭადრაკეებს 12-12 ქულა აქვთ.

საქართველოს გუნდიდან ყველაზე წარმატებით ითამაშეს წერეთელმა, რომელმაც სამივე შეხვედრა მოიგო, ზაიჩიკმა და აზმაიფარაშვილმა, რომლებმაც 2-2 ქულა მოაგროვეს.

ზეგ საქართველოს ნაკრები გაემგზავრება სოჭში, სადაც მონაწილეობას მიიღებს რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ლენინგრადის გუნდებთან ამხანაგურ ორწრიან მატჩ-ტურნირში.

თ. ნინოშვილი.

## ვინ როგორ მუშაობს?

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს შორის უმაღლესი სპორტული ოსტატობის განვითარებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები 1 ნოემბრისთვის ასეთი იყო:

I ჯგუფი — ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქების ჯგუფი.

| | 1. | 2. | 3. | ქულები |
|---|---|---|---|---|
| ქ. თბილისი | 218 | 218 | 228 | 4579,5 |
| აჭარის ასსრ | 25 | 8 | 20 | 318,0 |
| რუსთავი | 9 | 17 | 15 | 236,0 |
| აფხაზეთის ასსრ | 8 | 11 | 12 | 219,0 |
| ქუთაისი | 12 | 9 | 15 | 215,5 |
| გორი | 10 | 9 | 9 | 193,0 |
| ფოთი | 2 | — | 4 | 37,0 |
| სამხრეთ ოსეთის ა. ო. | 1 | 3 | — | 22,0 |
| ჭიათურა | — | — | 1 | 2,0 |
| წყალტუბო | — | — | 1 | 0 |

II ჯგუფი — სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ჯგუფი.

| | 1. | 2. | 3. | ქულები |
|---|---|---|---|---|
| „დინამო“ | 78 | 55 | 83 | 1436,0 |
| „ბურევესტნიკი“ | 60 | 51 | 31 | 1101,0 |
| „განთიადი“ | 32 | 43 | 45 | 855,0 |
| „შრ. რეზერვები“ | 45 | 35 | 40 | 735,0 |
| „ლოკომოტივი“ | 31 | 27 | 17 | 531,0 |
| „სპარტაკი“ | 26 | 30 | 33 | 529,0 |
| ასკ | 46 | 35 | 34 | 526,0 |
| „კოლმეურნე“ | 15 | 17 | 29 | 306,0 |
| „ვოდნიკი“ | 12 | 3 | 12 | 213,0 |

III ჯგუფი — რესპუბლიკის რაიონები.

| | 1. | 2. | 3. | ქულები |
|---|---|---|---|---|
| ბორჯომი (ზამთრის სახეობები) | 6 | 3 | 5 | 199,0 |
| მახარაძე | 2 | — | — | 85,0 |
| გარდაბანი | 6 | 4 | 3 | 80,0 |
| მცხეთა | 2 | 3 | 2 | 42,0 |
| სამტრედია | 2 | 3 | — | 36,0 |
| კასპი | 5 | 2 | 3 | 34,0 |
| ზესტაფონი | 2 | — | 1 | 30 |
| ახალციხე | — | 2 | — | 15,0 |
| საჩხერე | — | 2 | — | 12,0 |
| წითელწყარო | — | 1 | — | 12,0 |
| თელავი | 1 | — | 4 | 0 |
| ახმეტა | 1 | 1 | — | 0 |
| მესტია | — | — | 1 | 0 |

**შენიშვნა:** 1. გრაფაში — „დაკავებული ადგილები“ აღნიშნულია ცენტრალური საბჭოებისა და საკავშირო პროფსაბჭოს შეჯიბრებებში, სსრ კავშირის პირველობებსა და ჩემპიონატებში, ევროპისა და მსოფლიო პირველობებსა და ჩემპიონატებში და საერთაშორისო ტურნირებზე მოპოვებული საპრიზო ადგილების რაოდენობა; 2. გრაფაში — „ქულები“ გათვალისწინებულია მხოლოდ ოლიმპიურ სახეობებში მოგროვილი ქულები. აქ პირველი ადგილისთვის იწერება 5 ქულა, მეორესთვის — 3, მესამისთვის — 1 სათანადო კოეფიციენტის გათვალისწინებით.

საქართველოს სპორტკომიტეტის დაგეგმვისა და აღრიცხვის განყოფილება.

## დაზვერვა ბრძოლით

**ცხინვალის** სპორტულ ბაზებზე დამთავრდა კომკავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საქალაქო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო კალათბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა, ფეხბურთი, ჭადრაკი და ტყვიის სროლა. ფაქტიურად, ეს ტურნირი გადაიქცა სოლქო VII სპარტაკიადისთვის ძალების გენერალურ შემოწმებად.

ფეხბურთელთა ასპარეზობაში 12 კოლექტივი მონაწილეობდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ კავშირგაბმულობის საქალაქო კვანძისა და პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდები. კავშირგაბმულობის მუშაკებმა გაიმარჯვეს — 3:2. III ადგილი წილად ხვდა სპორტკლუბ „სოკოლს“.

სპარტაკიადის სხვა სახეობებში პირველობა მოიგეს პედინსტიტუტის ფიზაღზრდის ფაკულტეტის გუნდებმა (ინსტიტუტის სახელს ისინი იცავდნენ).

ფრენბურთში II და III ადგილებზე გავიდნენ ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებისა და მომინანქრებული სადენის ქარხნის გუნდები.

კალათბურთში II ადგილები წილად ხვდათ სკოლა-ინტერნატის ქალთა და „სოკოლის“ (ვაჟთა) კოლექტივებს. III ადგილებზე გავიდნენ სამედიცინო სასწავლებლის (ქალთა) და ქალაქის ელექტროქსელის სპორტსმენები.

მოჭადრაკეთა ტურნირზე II და III ადგილები დაიკავეს მომინანქრებული სადენის ქარხნისა და ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების წარმომადგენლებმა. მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში — მომინანქრებული სადენის ქარხნისა და სამხატვრო-სასწავლებლის მსროლელებმა.

საერთო-გუნდური ჩათვლაში საქალაქო სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ მომავალი პედაგოგები.

ვ. მელქოევი.



ჩვენი ძმური რესპუბლიკები

სამ ათასამდე წევრს აერთიანებს დონეცკის ოლქის შახტის „კიროვსკაიას“ სპორტული კლუბი.

სურათებზე (ზემოდან ქვემოთ): მძლეოსანთა მწვრთნელი იმანტას პაბერზისი, რომელმაც რვა სპორტის ოსტატი აღზარდა; საცურაო აუზში.

საკდესის ფოტოქრონიკა.



## შეხვედრა ჩემპიონთან

**ამ დღეებში** გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის მშრომელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ამავე სოფლის მკვიდრს, 20 წლის ბორის გოგიჩაშვილს, რომელიც წლეულს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა ძიუდოში.

ახალგაზრდა სპორტსმენს მიესალმნენ თანასოფლელები, შემდეგ ჩემპიონის აღმზრდელებმა ლ. ბალამწარაშვილმა, გ. ალექსიძემ და რ. ამბრიაშვილმა ისაუბრეს ბ. გოგიჩაშვილის სპორტულ მიღწევებზე და მომავლის გეგმებზე.

ლ. კილიშვილი,
ხიდისთავის სასოფლო საბჭოს მდივანი.

## ძალოსნობა

### მსოფლიოს ახალი რეკორდი

**კახეთის** ქალაქ თემირტაუში მიმდინარე რესპუბლიკის თასის გათამაშების დროს კუჩეტაველმა ძალოსანმა ვიაჩესლავ ანდრეევმა (მსუბუქი წონითი კატეგორია) მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა აკვრაში — 180,5 კილოგრამი.

## პირველიდან ბოლო ეტაპამდე

### სროლა

**დამთავრდა** დოსააფის პირველადი ორგანიზაციების რესპუბლიკური მასობრივი პირველობა ტყვიის სროლაში, რომელიც 4 ეტაპად გაიმართა. პირველი ეტაპი გახლდათ შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები. შემდეგ ჩატარდა სარაიონო და საქალაქო ტურნირები და ბოლოს რესპუბლიკური ასპარეზობა, რომელმაც გამოავლინა უძლიერესი გუნდები.

საკმაოდ მასობრივი იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შიდასაკოლექტივო ტურნირი, მასში 2649 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. ინსტიტუტის საუკეთესო ძალებით დაკომპლექტებულმა ნაკრებმა მოიგო თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პირველადი ორგანიზაციებს შორის გამართული ასპარეზობა და საქალაქო ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

კიროვის რაიონის ტირში, მესამე ეტაპზე, თბილისის რაიონების 8 გუნდის 72 წარმომადგენელი შეჯიბრდა. მომავალმა ინჟინრებმა აქაც იმარჯვეს.

ფინალში, რომელიც თბილისში ოქტომბრის ბოლოს მოეწყო, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, რუსთავის, ცხინვალისა და გორის სპორტსმენებთან დავაში სპი-ს გუნდმა 1197 ქულით III ადგილი დაიკავა. ჩემპიონი გახდა სოხუმის ფიზიკო-ტექნიკური კვლევითი ინსტიტუტის სპორტკლუბ „სამხრეთის“ კოლექტივი — 1209 ქულა. მას 4 ქულით ჩამორჩა რუსთავის ნაკრები გუნდი.

პირად პირველობაზე მცირეკალიბრიანი შაშხანის წოლით 30 გასროლაში იმარჯვა ი. ბარიხაშვილმა (რუსთავი) — 287 ქულა. ასეთივე შედეგი ჰქონდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტს ო. გელაძეს, მაგრამ იგი II ადგილზე გავიდა. მისმა თანაგუნდელმა, სატრანსპორტო ფაკულტეტის სტუდენტმა გ. ბარამიძემ III ადგილი დაიკავა — 271.

ფინალურ ეტაპზე მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაც ჩატარდა. აქ ყველას აჯობა სპი-ს მექანიკური ფაკულტეტის სტუდენტმა გ. ბარაბაძემ, რომელმაც 100-დან 91 ქულა მოაგროვა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ნ. კოკაევი (ცხინვალი) — 88 და გ. ჯომარჯიძე (რუსთავი) — 85.

ზ. ზედგინიძე.

## ჟამი ფიქრისა და განსჯისა



**შარშან** მშდ კომპლექსის მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზებზე თბილისში ჩატარებულ საკავშირო პირველობაზე საქართველოს ნაკრებმა V ადგილი დაიკავა. ცოტა მოგვიანებით სპეციალისტების უმრავლესობა თვლიდა, რომ ჩვენს გუნდს მომავალ ტურნირში წინ მოპოვებული წარმატების შენარჩუნება გაუჭირდებოდა. ამას იმით ხსნიდნენ, რომ საქართველოს სპორტსმენები ასპარეზობის დამთავრებისთანავე არ შეუდგნენ მომავალი ჩემპიონატისთვის მზადებას.

მართლაც, რესპუბლიკის უძლიერესმა მრავალჭიდელებმა ერევნის სტარტებისთვის სამზადისი დაგვიანებით დაიწყეს — გაზაფხულის დამდეგიდან, როცა სტარტს იღებს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზების პირველი ეტაპის შეჯიბრებები. დაიკარგა თითქმის ოთხი თვე.

მაინც, რატომ შეფერხდა ახალი ჩემპიონატისთვის დროული მზადება?

ჩვენი ნაკრების წევრთა უმრავლესობა სპორტის სხვა სახეობებიდან „ნასესხები“ სპორტსმენებია და, ბუნებრივია, ისინი თბილისის სტარტების დამთავრებისთანავე თავიანთ ძირითად სახეობებს დაუბრუნდნენ, ნაწილი კი, რომელიც საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მრავალჭიდისა და მშდ კომპლექსის კათედრის ხელმძღვანელობით გადიოდა სავალდებულო მინიმუმს, საქმეს გულგრილად ეკიდებოდა.

ერევანში საკავშირო ჩემპიონატის დაწყებამდე რესპუბლიკური ტურნირი ოთხ ეტაპად ჩატარდა. არც პირველი ეტაპის ასპარეზობანი — შეჯიბრებები ფიზკულტურის კოლექტივებში, არც რაიონული და საქალაქო ტურნირების უმეტესობის ხარისხი არ შეესაბამებოდა დღევანდელ მოთხოვნებს, რის გამო საქართველოს ზონალურ პირველობებზე წარმოდგენილი გუნდების შედეგები ერთობ დაბალი აღმოჩნდა. ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რა მცირე ყურადღება ეთმობა ფიზკულტურულ კოლექტივებში მშდ ნიშნოსანთა დაოსტატებას. წლევანდელი ზონალური შეჯიბრებების დროს მთელი რიგი რაიონების (ამბროლაურის, ადიგენის, ლანჩხუთის) გუნდებმა ვერცერთი ჩასათვლელი ქულა ვერ მოიპოვეს, მესტიის და ყაზბეგის რაიონების მრავალჭიდელები მეოთხე წელია რესპუბლიკურ ზონალურ პირველობაში არ მონაწილეობენ, წელს ამ შეჯიბრებას დმანისისა და თეთრიწყაროს რაიონებმაც თავი აარიდეს.

ძალზე მცირეა გეოგრაფია იმ ქალაქებისა და რაიონებისა, რომლებიც ნაკრებს შევსებას გვაძლევენ. მხოლოდ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ტყიბულის, მაიაკოვსკის, გეგეჭკორის ხარჯზე შორს ვერ წავალთ. არცერთი სპორტსმენი არ მოუცია სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, ფოთს, რუსთავს, გორის, ჭიათურის, სამტრედიის, ზესტაფონის, მახარაძისა და სხვა რაიონებს.

თბილისის სახალხო განათლების განყოფილების ფიზაღზრდის სექტორი, ქალაქის სპორტსკოლების ხელმძღვანელობა ნაკლებად ზრუნავენ I, II და III საფეხურების პერსპექტიულ ნიშნოსანთა გამოვლენასა და აღზრდისათვის, რის შედეგად მესამე წელია თბილისის გუნდი ამ საფეხურებში. აგებს აჭარასთან. რესპუბლიკურ ჩემპიონატში I საფეხურის ბიჭებს შორის გაიმარჯვა პ. ფოჩხუამ, II საფეხურის ნიშნოსანთა შორის — პ. სურმავამ (ორივე — გეგეჭკორი). ამ საფეხურის მრავალჭიდელ გოგონებში კი ყველას აჯობა ბათუმელმა ლ. ბოლქვაძემ. თბილისელებმა გ. ბაქრაძემ და ს. ვასილენკომ ნული შეფასება მიიღეს.

I და II საფეხურის ნიშნოსანთა ცუდი მომზადების დამადასტურებელია სექტემბერში არტეკში გავახარეს კ. გუმბამ და ვ. ჭარბაძემ — 100 მეტრზე ცურვაში გაიმარჯვეს. სამწუხაროდ, დანარჩენი სპორტსმენების შედეგები ვერ იყო სახარბიელო, რის გამოც საქართველოს გუნდმა ამ სახეობაში მხოლოდ 531 ქულა მოაგროვა და 19 კოლექტივს შორის მე-16 ადგილზე გავიდა — ცურვაში გამარჯვებულ მოსკოვის კოლექტივთან 340 ქულა წავაგეთ. როცა ოთხი სახეობის შედეგები შეჯამდა, 2448 ქულით VIII ადგილზე აღმოვჩნდით.

შეჯიბრების ბოლო დღეს კროსში ასპარეზობას უნდა გადაეწყვიტა საერთო გუნდური ადგილების ბედი. კროსი კი ჩვენი მრავალჭიდელების „აქილევსის ქუსლია“. აქ თითქმის ყველა კოლექტივმა გვაჯობა. ჩვენმა სპორტსმენებმა ამ სახეობაში 437 ქულა ძლივს მოაგროვეს (მე-17 ადგილი).

საქართველოს ნაკრებმა საბოლოოდ 2885 ქულას მოუყარა თავი და შარშანდელი V ადგილიდან XII ადგილზე გადაინაცვლა. გუნდს ობათა უზრუნველყოფა. სამწუხაროდ, ეს პუნქტი არცერთ მათგანს არ შეუსრულებია. ისინი მხოლოდ რესპუბლიკური და საუწყებო შეჯიბრებების წინ მოკლევადიანი შეკრებებით კმაყოფილდებოდნენ. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მრავალჭიდისა და მშდ კათედრასაც მეტი მომთხოვნელობა უნდა გამოეჩინა იმ სპორტსმენთა მიმართ, რომლებიც სპეციალობაში პრაქტიკულ მეცადინეობებს ხშირად აცდენდნენ.

საქართველოს მშდ კომპლექსის მრავალჭიდელთა უმრავლესობასთან ძალიან ჰქონდა სრულწრიული ვარჯიშები, შეკრებების ჩატარება, ტ. კორობკინა და ვ. გავრინი გასამხედროებული მრავალჭიდის რესპუბლიკური ნაკრების გუნდის წევრებიც არიან, ამიტომ, ვიდრე ამ სახეობაში საკავშირო პირველობა არ დამთავრდა, მათი მშდ-ს რელსებზე გადაყვანა და საწვრთნო შეკრებაზე მოსვლა არ მოხერხდა. ეს კი მაშინ მოხდა, როცა ერევნის

# ერთი ადგილის ტკეპნა უკანსვლას ნიშნავს

მართული „იმედის სტარტებში“ საქართველოს სპორტსმენთა დაბალი მაჩვენებლები. იქ ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრებმა გუნდებმა ადგილები მეოთხე ათეულში (?!) დაიკავეს...

* * *

**ჩვენმა** სპორტსმენებმა ერევნის საკავშირო ჩემპიონატის პირველი დღე წარმატებით დაიწყეს: ი. კოსორუკოვამ 60 მეტრი 8 წამში გაირბინა და პირველი ადგილი დაიკავა. ამ დღეს სარეკორდო შედეგით (10,9) გაიმარჯვა თ. ჩიტაძემაც (100 მეტრზე რბენაში), მესამე ადგილები მოიპოვეს, მ. ტრიანდაფილომ 60 მეტრზე ასპარეზობაში — 7,9, ლ. ბოლქვაძემ — ბურთის ტყორცნაში — 62,18 მ., ი. ვოლკოვმა — 100 მეტრზე ასპარეზობაში — 11,3, გ. ვარდანიძემ (66,18) და ს. ნოვოსელცოვამ (50,80) ხელყუმბარის ტყორცნაში...

დღის დამლევს საქართველოს ნაკრები 1175 ქულით V ადგილზე დამკვიდრდა. ეს კარგი დასაწყისი იყო, თუმცა უკეთესი მაჩვენებლის მოპოვებაც შეიძლებოდა, გულდამწყვეტი შემთხვევები რომ არა. მაგალითად, IV საფეხურის II ასაკობრივ ჯგუფში ვ. ჭარბაძემ ხელყუმბარის ტყორცნაში ნული მიიღო.

მეორე დღეს სროლაში მაღალი შედეგები აჩვენეს ტ. მიასოედოვამ — 98, კ. გუმბამ — 97, გ. ჯარამნელმა და ტ. კორობკინამ — 96-96, მ. გუმბერიძემ, ვ. ჭარბაძემ, თ. ჩიტაძემ, თვითეულმა — 95. არც გუნდის დანარჩენ წევრებს ჰქონდათ ცუდი მაჩვენებლები. ოღონდ ეგ იყო, ვარდანიძემ ვერ გაანაწილა დრო — 8 გასროლილი ტყვიის შემდეგ მას 78 ქულა ჰქონდა, მაგრამ დანარჩენი ორი ტყვიის სამიზნეში გაგზავნა ველარ მოასწრო. და მაინც, სროლის მერე ჩვენი ნაკრები მტკიცედ იდგა მეხუთე ადგილზე.

საღამოს „დინამოს“აუზში გასაერთო ჯამში ქულათა თვალსაზრისით გასული წლის მაჩვენებელი არ გაუუარესებია, მაგრამ...

თუ შარშან ჩემპიონი და რამდენიმე პრიზიორი გვყავდა, ერევანში მხოლოდ თბილისის 43-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ი. კოსორუკოვამ შეძლო მრავალჭიდის ჯამში მესამე ადგილის დაკავება. მან I საფეხურის ნიშნოსანთა შორის 158 ქულას მოუყარა თავი. იმდენივეს, რამდენსაც ლენინგრადელმა მ. კაჩალოვამ. მაგრამ, ვინაიდან ცურვაში ლენინგრადელს უკეთესი შედეგი აღმოაჩნდა, მეორე ადგილიც მას დარჩა.

ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების წევრთაგან გუნდს სხვებზე მეტი ქულები შესძინეს II საფეხურის ნიშნოსანთა შეჯიბრებაში პ. სურმავამ — 135 (მე-12 ადგილი), III საფეხურის მრავალჭიდელებში ნ. სანჟაპოვამ — 142 (მე-19) და მ. გუმბერიძემ — 132 (მე-20). IV საფეხურის პირველ ასაკობრივ ჯგუფში ე. გორგოძემ — 135 (35-ე) და თ. ჩიტაძემ — 134 (37-ე). 6 სპორტსმენმა 120 ქულაზე მეტი დააგროვა თვითეულმა. გუნდის წევრთა საშუალო შედეგი 120 ქულას შეადგენს.

რა იყო საქართველოს ნაკრების უკან დახევის მიზეზი?

ძირითადი, ვფიქრობთ, ისაა, რომ ჯერ კიდევ საშველი არ დაადგა თუნდაც უძლიერესი სპორტსმენების სრულწლიური საწვრთნო მეცადინეობის საკითხის გადაწყვეტას. შარშან საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება კომპლექსის მრავალჭიდში ნაკრების მზადების გაუმჯობესების შესახებ. ამ დადგენილებით სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს დაევალათ ნაკრების კანდიდატთა სრულწლიურ მეცადინესაკავშირო ჩემპიონატის დაწყებამდე 10 დღე იყო დარჩენილი.

ტ. კორობკინა, ლ. შუმილინა, ს. ნოვოსელცოვა და ზოგიერთი სხვები სხვადასხვა სპორტსაზოგადოებების მძლეოსანთა ნაკრების წევრებიც არიან. წლის მანძილზე მათ ათჯერ მაინც მიიღეს მონაწილეობა რესპუბლიკურ თუ საკავშირო საუწყებო შეჯიბრებებში. ეს ხელს უშლიდა მათ მზადებას ცურვასა და სროლაში.

თუ ორიოდე წლის უკან გუნდურ ტურნირში ათეულში მოსახვედრად 2300 ქულა კმაროდა, შარშან ამისთვის 2700 ქულა გახდა საჭირო. წელს X ადგილზე გასულმა ლიტვის ნაკრებმა 3017 ქულა მოაგროვა. ცხადია, ყოველწლიურად იზრდება გუნდების მომზადების დონე, რასაც სხვა ფაქტებიც ადასტურებენ. მაგალითად, შარშან გამარჯვებულმა რუსეთის ფედერაციის კოლექტივმა 3478 ქულა მოაგროვა. წელს კი მას ამისთვის 3669 ქულა დასჭირდა. მოსკოვმა შარშან 3081 ქულას მოუყარა თავი, წლეულს — 3325-ს. უკრაინამ გასულ წელს 3065 ქულა მიიღო, ერევანში 3627 ქულის მოგროვება შეძლო. ჩვენ შარშანდელ დონეზევე დავრჩით.

თუ რა მნიშვნელობა აქვს სპორტსმენთა ერთად თავშეყრასა და მათ მზადებას, ნათლად დასტურდება რესპუბლიკურ და საკავშირო ჩემპიონატებში მრავალჭიდელების მაჩვენებლების შედარებისას. საქართველოს პირველობის შემდეგ გამართული შეკრების შედეგად მათ ერევანში საერთო ჯამში 295 ქულით მეტი მოაგროვეს, ვიდრე ჭიათურაში ჩატარებული რესპუბლიკური ასპარეზობის დროს. კერძოდ, ი. კოსორუკოვამ საქართველოს პირველობაზე 135 ქულა მოაგროვა, ერევანში — 158, ლ. ბოლქვაძემ — 85 და 118, ლ. სანჟაპოვამ — 122 და 142, ე. გაბზინამ — 94 და 1[illegible]1, მ. გუმბამ — 94 და 129, ტ. მიასოედოვამ — 96 და 11[illegible] [illegible] — 111 და 135, გ. ძოწენიძემ — 95 და 111. კ. გ[illegible] [illegible] პირველობაზე ნაჩვენები შედეგების განმეორებით დაკმაყოფილდა.

ავადმყოფობის გამო შედეგები გააუარესეს ი. ვოლკოვმა (13 ქულით) და მ. გუმბერიძემ (4 ქულით). მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ერევანში ჩვენი სპორტსმენები უარეს მაჩვენებლებს დასჯერდნენ, ვიდრე შარშანდელ საკავშირო ჩემპიონატზე. მაგალითად, კ. გუმბამ ერევანში 14 ქულით ნაკლები მოაგროვა, ვ. გავრინმა — 26 ქულით ნაკლები...

ერევნის საკავშირო ჩემპიონატმა დაგვანახა, რომ საქართველოს მრავალჭიდელთა მომზადება სპრინტში, ხელყუმბარის ტყორცნასა და სროლაში დამაკმაყოფილებელია, რასაც ვერ ვიტყვით ცურვასა და კროსზე. აუცილებლად მიგვაჩნია ნაკრების საგრძნობი გაახალგაზრდავება. გუნდის წევრთა მესამედზე მეტი პირველი ჩემპიონატის დროინდელი უპერსპექტივო სპორტსმენებია. ამ საკითხის გადაჭრა შესაძლებელი გახდება თუ ადგილებზე მეტი ყურადღება დაეთმობა ნიჭიერი მრავალჭიდელების გამოვლენასა და აღზრდას. აუცილებლად უნდა გადაწყდეს კომპლექსის მრავალჭიდში ნაკრების კანდიდატთა სპეციალიზაციის საკითხი. მათი მომზადება უნდა მიმდინარეობდეს მხოლოდ მშდ მრავალჭიდის ნაკრები გუნდის გეგმით, რადგან სპორტსმენთა „უნივერსალობას“ ჩვენთვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს.

უმრავლეს რესპუბლიკებში უმაღლესი ოსტატობის სკოლებთან შეიქმნა ჯგუფები მშდ მრავალჭიდში. ჩვენთან ეს საკითხი მხოლოდ ნაწილობრივ გადაწყდა. საშველი არ დაადგა ჯგუფების გახსნას მძლეოსნობის უმაღლესი ოსტატობის სკოლასთან, ხოლო განათლების სამინისტროს მძლეოსნობის სპეციალიზებულმა სკოლამ ერთი ჯგუფი გახსნა ქ. ქუთაისში. ეს არის და ეს.

მშდ კომპლექსის მრავალჭიდის განვითარებაში, ამ კომპლექსის დანერგვაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია პრესას, რადიოს, ტელეხედვას. სამწუხაროდ, მათი უმეტესობა ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობს კომპლექსის პროპაგანდას — მკითხველებს, მსმენელებს არ აცნობს მოწინავეთა გამოცდილებას, იშვიათად ამხელს ნაკლოვანებებს.

ვფიქრობთ, საქმე დიდად მოიგებდა თუ შეიქმნებოდა მშდ კომპლექსის რესპუბლიკური ფედერაცია, რომელიც დიდ როლს შეასრულებდა მშდ კომპლექსის დანერგვაში საერთოდ, და ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში არსებული ხარვეზების გამოსწორებისთვის ბრძოლაში.

მზადება მორიგი საკავშირო ჩემპიონატისთვის, რომელიც გაისად ალმა-ათაში გაიმართება, ფიზკულტურის კოლექტივებში, რაიონებში, ქალაქებში, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებში აქედანვე უნდა გაჩაღდეს.

**გ. მძელური,**
**საქართველოს სპორტკომიტეტის მოსახლეობის ფიზიკური აღზრდისა და მშდ კომპლექსის განყოფილების უფროსი.**

---

**სპორტული ბაზების მშენებლობა — № 1 პრობლემა**

# „მეგობრობის“ ახალი საჩუქარი





სურათებზე: კალათბურთელთა პირველი მატჩის მომენტი ახალ მოედანზე; ჭიდაობაში საჩვენებელი შეხვედრა.

ავტორის ფოტოები.

თბილისში, გლდანის საცხოვრებელი მასივის კვარტალი „მეგობრობა“ განსაკუთრებული არქიტექტურით გამოირჩევა, ვინაიდან მას ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკების წარმომადგენლები აშენებდნენ. აქ მეტად მოხერხებული ბინებია. კორპუსთა შორის ტერიტორიაზე ბევრი რამ გაკეთდა აქაურ მკვიდრთა საკეთილდღეოდ. მაგრამ უკანასკნელ მომენტამდე სპორტის მოყვარულებისათვის თითქოს არავის ეცალა: არსად იყო თუნდაც ერთი მოედანი, სადაც „მეგობრობის“ ათასობით მცხოვრები ივარჯიშებდა სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

და აი, ამ ნაკლსაც ბოლო მოეღო: ამ დღეებში აქ მწყობრში ჩადგა კალათბურთის და მინი-ფეხბურთის მოედნები, საბავშვო ქალაქი საქანელებითა და სხვა გასართობებით.

ყველაფერი ეს შეიქმნა გლდანის მიკრორაიონის სახალხო საბჭოს კომიტეტის (თავმჯდომარე რ. გურგენიძე) ინიციატივით და შეფების — შამპანკომბინატის, ქარხანა „ცენტროლიტისა“ და ლითონკონსტრუქციის ქარხნის დახმარებით. ბაზების აგებაში დიდი წვლილი შეიტანეს, აგრეთვე, ამ რაიონის სამშენებლო და გამწვანების კანტორებმა, საგზაო მეურნეობის წარმომადგენლებმა, ლენინის რაიონის არქიტექტორმა ნ. ქავთარაძემ...

ბაზების საზეიმო გახსნაზე ამ კვარტლის ათასობით მცხოვრები შეგროვდა. საბავშვო ქალაქში გაიმართა დიდი სპორტული დღესასწაული, სახალხო სეირნობა, სპორტულ ბაზებზე მოეწყო საჩვენებელი შეხვედრები ქართულ ჭიდაობაში, კალათბურთში, მინი-ფეხბურთში, ჩატარდა მასობრივი ტანვარჯიშული გამოსვლები.

„მეგობრობის“ კვარტალში საბავშვო და სპორტული მოედნების აგება მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის ხელმძღვანელი ორგანოების ზრუნვის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა.

**ქ. ჯიმშელიძე.**



# საქართველოს ავტომრბოლელთა წარმატება

საქართველოს ავტოკროსმენები ბოლო წლებში წარმატებით გამოდიან სხვადასხვა რანგის საკავშირო შეჯიბრებებში, ამას წინათ კი მათ ვოლგოგრადის მიდამოებში გამართულ „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაში ისახელეს თავი.

ჩვენი კოლექტივების წარმატებანი შემთხვევითი როდია. „სპარტაკში“ საავტომობილო სპორტი დიდი პოპულარობითაც სარგებლობს. ვოლგოგრადში საქართველოდან გაემგზავრა ბრძოლისუნარიანი კოლექტივი, რომლის შემადგენლობაში გამოცდილ მრბოლელებთან (თ. ახვერდოვი, ზ. ბურდილაძე, ჯ. გაზაევი) ერთად იყვნენ ახალგაზრდები. (ჯ. კერძევაძე, ა. ყიფიანი, ლ. ღლონტი, გ. ჩიქოვანი), რომლებიც ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის მოამზადა საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, წარსულში ცნობილმა ავტომობილისტმა, სპორტის ოსტატმა ა. ღლონტმა.

სპორტის ამ სახეობაში წარმატება მარტო მძღოლის უნარსა და მოხერხებაზე როდია დამოკიდებული, არამედ მანქანისვარგისიანობასაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ეს კი დამოკიდებულია მექანიკოსების, ტექნიკური ხელმძღვანელების, გუნდის უფროსთა მონდომებაზე და შრომის უნარზე. საქართველოს „სპარტაკის“ ნაკრების მიერ ვოლგოგრადში მოპოვებულ წარმატებაში სათანადო წვლილი შეიტანეს გუნდების მექანიკოსებმა გ. ნევზოროვმა, ვ. კატარჩიანმა და ნ. კუზმინმა, ტექნიკურმა ხელმძღვანელმა, თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხნის ძრავების საამქროს უფროსის მოადგილემ პ. ზვირიკმა და გუნდის უფროსმა, ამავე ქარხნის დირექტორმა გ. ზალდასტანიშვილმა, რომლებმაც კოლექტივს წვრთნის კარგი პირობა შეუქმნეს, სპორტსმენები სათანადო სათადარიგო ნაწილებითა და სხვა აუცილებელი ინვენტარით უზრუნველყვეს.

საქართველოს სპარტაკელებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში უკან ჩამოიტოვეს მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინისა და სხვა რესპუბლიკებისა და ქალაქების კოლექტივები და მეორე ადგილი დაიკავეს. ჩვენს ავტომობილისტებს მხოლოდ რსფსრ-ს ნაკრებმა აჯობა. სამაგიეროდ, **პირველადი კოლექტივების გუნდების შეჯიბრებაში თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივი უძლიერესი გახლდათ და ცენტრალური საბჭოს გარდამავალი თასიც დაისაკუთრა.**

ასპარეზობის პირველ დღეს ძლიერ, ქარიან ამინდში ერთმანეთს ეჯიბრებოდა „გაზ-53“ მარკის 30 მანქანა. შესანიშნავად იასპარეზა თ. ახვერდოვმა. მან ტაქტიკურად, საქმის ცოდნით წარმართა ბრძოლა. სტარტიდან იგი მეხუთე გავიდა, მაგრამ რბოლის დასასრულს ყველა ჩამოიტოვა, მათ შორის სსრ კავშირის ჩემპიონი ყაბარდო-ბალყარეთიდან ხ. აბაზოვიც და ოქროს მედალი მოიგო.

მეორე დღეს „გაზ-51“ მარკის 25 მანქანა ცდიდა ძალას. მათ შორის 4 საქართველოს ეკიპაჟი იყო. ჩვენი სპორტსმენებიდან ამჯერად საუკეთესო გახლდათ გუნდის მწვრთნელის ა. ღლონტის ვაჟი — ლევანი. ადრე იგი კარტინგებით შეჯიბრებაში გამოდიოდა ხოლმე და წარმატებითაც, მერე მიკროავტომობილიდან ამ დიდ მანქანაზე გადაჯდა და ტექნიკის ათვისებაც არ გაუჭირდება.

ვოლგოგრადის ტრასაზე ლ. ღლონტი დიდხანს მეხუთე მიდიოდა, ხოლო, როცა ფინიშამდე ორი წრე დარჩა, იმდენად დაწინაურდა, რომ საბოლოოდ ვერცხლის მედალი მოიგო.

რბოლა კარგად ჩაატარა აგრეთვე ჯ. კერძევაძემ (IV ადგილი). ზ. ბურდილაძეს ბედი არ სწყალობდა. პირველივე წრეზე, როცა ლ. ღლონტმა რიაზანის გუნდის ერთ-ერთ მანქანას გაუსწრო, რიაზანელმა მდგომარეობის გამოსწორების მიზნით სისწრაფეს უზომოდ მოუმატა და ბურდილაძის მანქანას შეეჯახა. ამგვარი შეჯიბრების დებიუტანტი ახალგაზრდა ა. ყიფიანი, სამთო-მოთხილამურეთა ენაზე რომ ვთქვათ, კარის გამოტოვებისთვის შეჯიბრებიდან მოიხსნა.

საინტერესო გამოდგა „ზილ-130“ მარკის მანქანებით ასპარეზობა. აქაც სტარტზე 30 ეკიპაჟი შეგროვდა. თავიდანვე დაწინაურდა ჯ. გაზაევი. მას 300 მეტრიც არ ჰქონდა გავლილი, რომ მანქანა გადაბრუნდა და, ვიდრე მძღოლი მრავალრიცხოვანი მაყურებლის დახმარებით ავტომობილს „ფეხზე დააყენებდა“, „ოქროს მაძიებლები“ საგრძნობლად დაწინაურდნენ. გაზაევს ბრძოლა არ შეუწყვეტია. მერე კვლავ იძულებითი გაჩერება მოუხდა, როცა გატეხილი ქარის დამჭერი მინის ამოღება სცადა.

და მაინც, გაზაევმა შეძლო საბოლოოდ IV ადგილი მოეპოვებინა, რისთვისაც მას, როგორც დიდი ნებისყოფის სპორტსმენს, სპეციალური პრიზი გადაეცა.

ბ. ქვათაძე.

• • •

**სურათზე: ჯ. გაზაევი ფინიშის გადალახვისას.**

**ავტორის ფოტო.**

სარედაქციო ფოსტა

# „სპორტული წიგნი“... საჭიროა ასეთი მაღაზია

**უკანასკნელ** წლებში ჩვენს ქვეყანაში და, კერძოდ საქართველოში, სულ უფრო მეტი სპორტული ლიტერატურა გამოდის.

ცხადია, რომ მათი რაოდენობა კიდევ უფრო იზრდება მოსკოვის ოლიმპიადის მოახლოებასთან ერთად.

დიდი პოპულარობით სარგებლობს სერიები „ოლიმპიური თამაშების გმირები“, „ფიზკულტურა და ჯანმრთელობა“, „სპორტული ამბანი“, „უცხოეთის სპორტის ვარსკვლავები“, „სპორტი და პიროვნება“ და ა. შ.

სამწუხაროდ, ისინი გაბნეულნი არიან სხვადასხვა მაღაზიებში და ერთობ ძნელად მისაწვდომია ფართო მკითხველისთვის.

ვფიქრობთ, რომ უკვე დროა თბილისში გვქონდეს სპორტული წიგნის სპეციალიზებული მაღაზია, ისევე როგორც მოსკოვში, კიევში, ლვოვში, სმოლენსკში...

ალბათ „საქწიგნი“ ყურად იღებს მრავალრიცხოვან სპორტის მოყვარულთა სურვილს და ჩვენს ქალაქშიც გახსნის წიგნის ამგვარ მაღაზიას, მსგავსად სხვა სპეციალიზებული მაღაზიებისა — „პოლიტიკური წიგნი“, „პედაგოგიური წიგნი“, „სამხედრო წიგნი“, „სამეცნიერო წიგნი“, „ხელოვნება“, „ნოტები“, „მეგობრობა“ და ა. შ.

**თბილისის № 1 ავეჯის ფაბრიკის მუშები: ო. კახელაშვილი, შ. შახულოვი, ლ. წიკლაური.**

# ქუთაისის „ტორპედო“ ლაოსში

**ვიენტიანი, 13 ნოემბერი.** აქ მეგობრული ვიზიტით მყოფმა ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელებმა კიდევ 2 ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩაატარეს ვიენტიანის ცენტრალურ სტადიონზე. ქართველმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 4:0 დაამარცხეს ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდული ნაკრები. ამ მატჩში თავი გამოიჩინეს ქვირიამ, სვანაძემ, ხუცურაულმა და შელიამ.

დაძაბულად მიმდინარეობდა ტორპედოელთა მატჩი ლაოსის ჩემპიონთან — სახალხო განმათავისუფლებელი არმიის გუნდთან. ლაოსელმა ფეხბურთელებმა მაღალი ტემპი განავითარეს დასაწყისიდანვე და მე-10 წუთზე მიიღეს პენალტის დარტყმის უფლება, მაგრამ „ტორპედოს“ მეკარე მჭედლიძემ ბრწყინვალე ნახტომით მოიგერია ბურთი.

პირველ წარმატებას 43-ე წუთზე მიაღწია ბურკაძემ, ათიოდე წუთის შემდეგ კი მანვე 11-მეტრიანი დარტყმით [illegible] ლაოსელთა კარი. ამგვარად 2:0 გაიმარჯვეს [illegible] ფეხბურთელებმა.

მატჩის დამთავრების შემდეგ, ხალხმრავალი მაყურებლის თანდასწრებით, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ფუმი ვონგვიჩიტმა საბჭოთა კავშირ-ლაოსის მეგობრობის აღსანიშნავად სამახსოვრო სუვენირი გადასცა გამარჯვებულებს.

## ფეხბურთი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული შეხვედრები.

### I ჯგუფი

**„ნადიკვარი (თელავი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 2:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).**

ანგარიში გახსნა ლომიძემ, შესვენების შემდეგ კი როლ. ცირეკიძემ მეორედ აიღო სტუმართა კარი.

**„ივერია“ (ხაშური) — ასკ (თბილისი) 0:0. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).**

**„სპარტაკი“ (თბილისი) — „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) 1:0. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).**

სპარტაკელებს გამარჯვება მოუტანა რაზმაძის მიერ 65-ე წუთზე გატანილმა გოლმა.

**„სქური“ (წალენჯიხა) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:1. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).**

წალენჯიხელთაგან ბურთი გაიტანა მარგველანმა, ფოთელთა მხრივ კი — სანაიამ.

**„მერცხალი“ (მახარაძე) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 1:1. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).**

დაწინაურდნენ ცხაკაიელები (ბოლათურია), ხოლო მატჩის ბოლო წუთებზე თანაფარდობა აღადგინა აბაშიძემ.

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „მზიური“ (გალი) 3:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).**

გამარჯვებულთა გოლები ეკუთვნით ძაგოევს, გაზაევს და ცხოვრებოვს. „მზიურის“ მხრივ ბურთი გაიტანა გუგუჩიამ.

**„ეგრისი“ (ცხაკაია) — „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) 2:1. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).**

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სპარტაკი“ (თბილისი) 1:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).**

მატჩის ერთადერთი გოლი ეკუთვნის აკოფიანს.

**„ივერია“ (ხაშური) — „მზიური“ (გალი) 1:1. მსაჯი ზ. კოლუაშვილი (თბილისი).**

**ასკ (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:3. მსაჯი ა. ჯანანაშვილი (თბილისი).**

ტყიბულელმა ფეხბურთელებმა შეხვედრა დიდი მონდომებით, ენერგიულად ჩაატარეს. პირველი 2 ბურთი გაიტანა ძაგნიძემ, ხოლო მესამე — ქარქაშაძემ. ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორი იყო ქელეხიძე.

**„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:1. მსაჯი მ. კობიაშვილი (გორი).**

პირველ წარმატებას მიაღწიეს მასპინძლებმა (ოდიშარია). გოლი გაქვითა ალადაშვილმა, ხოლო შემდეგ ზ. დანელიამ გადამწყვეტი ბურთი გაიტანა მეტალურგების კარში.

**„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 2:0. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).**

პირველ ტაიმში ქობალიამ, შესვენების შემდეგ კი პენდერავამ ორჯერ აიღეს ჭიათურელთა კარი.

**„მერცხალი“ (მახარაძე) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 3:0. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).**

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „კოლხეთი“ (ხობი) 4:0. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).**

ზესტაფონელებმა მატჩი აღმავლობით ჩაატარეს, 2 ბურთი გაიტანა გლინიანოვმა, თითო — ხუჯაძემ და არაბიძემ. „კოლხეთს“ შეეძლო თავი დაეღწია „მშრალი“ ანგარიშით დამარცხებისთვის, მაგრამ „მეტალურგის“ მეკარე ადეიშვილმა მოიგერია გვენავას მიერ დარტყმული 11-მეტრიანი.

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „სქური“ (წალენჯიხა) 4:0. მსაჯი ა. პაიჭაძე (ხაშური).**

მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო. ბურთები გაიტანეს მოწონელიძემ, გაზაევმა, ძაგოევმა და ქოზაევმა.

**ასკ (თბილისი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 0:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).**

**„ნადიკვარი“ (თელავი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 3:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).**

**„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „კოლხეთი“ (ფოთი) 5:4. მსაჯი მ. კობიაშვილი (გორი).**

ამ უკიდურესად დაძაბულ შეხვედრაში მასპინძლებმა შეძლეს გათამაშების ლიდერის დამარცხება. გამარჯვებულთაგან 3 ბურთი გაიტანა ოსაძემ; თითო — ლოლაძემ და მაღრაძემ. ფოთელთაგან გოლები ეკუთვნით სანაიას (2), გვალიას და ქორიძეს. აღსანიშნავია, რომ „მაღაროელის“ მეკარე ზარიძემ მოიგერია სანაიას მიერ დარტყმული პენალტი.

**„კოლხეთი“ (ფოთი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 4:2. მსაჯი ა. ჯანანაშვილი (თბილისი).**

**„კოლხეთი“ (ხობი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).**

**„ჩიხურა“ (საჩხერე) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 5:1. მსაჯი რ. ფანჯარაშვილი (თბილისი).**

ანგარიში მე-3 წუთზე გახსნა გეგეჭკორელმა დანელიამ და სტუმრების წარმატებაც ამით ამოიწურა. საპასუხო გოლი მალე გაიტანა ქანთარიამ, შემდეგ კი წიკლაურმა, ივანოვმა, ჭეიშვილმა (პენალტი) და ქანთარიამ ანგარიში აიყვანეს 5:1-მდე. გეგეჭკორელმა გაბისონიამ ვერ გამოიყენა პენალტი.

**„მეტალურგი“ (რუსთავი) — ასკ (თბილისი) 2:1. მსაჯი მ. კობიაშვილი (გორი).**

**„მეშახტე“ (ტყიბული) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 5:1. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).**

**„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ივერია“ (ხაშური) 2:1. მსაჯი რ. შენგელია (სოხუმი).**

**„მზიური“ (გალი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:2. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).**

მახარაძის „მერცხალს“ გამარჯვება ჩაეთვალა თბილისის არმიელთა გუნდთან.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი“ ფ. | 42 | 27 | 9 | 6 | 97—39 | 63 |
| „მეშახტე“ | 42 | 25 | 11 | 6 | 70—35 | 61 |
| „მეტალ.“ რ. | 42 | 26 | 6 | 10 | 69—33 | 58 |
| „მზიური“ | 43 | 23 | 10 | 10 | 73—45 | 56 |
| „მაღაროელი“ | 42 | 20 | 10 | 12 | 76—62 | 50 |
| „ენერგეტ.“ | 43 | 18 | 10 | 15 | 56—46 | 46 |
| „მერცხალი“ | 42 | 17 | 12 | 13 | 54—45 | 46 |
| „კოლხეთი“ ხ. | 41 | 16 | 12 | 13 | 43—44 | 44 |
| „ამირანი“ | 42 | 17 | 8 | 17 | 40—55 | 42 |
| „ნადიკვარი“ | 40 | 14 | 13 | 13 | 56—49 | 41 |
| ასკ თბ. | 41 | 14 | 13 | 14 | 42—40 | 41 |
| „ივერია“ | 42 | 15 | 10 | 17 | 33—48 | 40 |
| „სალხინო“ | 42 | 14 | 12 | 16 | 56—77 | 40 |
| „სპარტ.“ თბ. | 41 | 16 | 7 | 18 | 46—55 | 39 |
| „მეტალ.“ ზ. | 42 | 13 | 12 | 17 | 60—69 | 38 |
| ფიზკ. ინსტ. | 41 | 16 | 6 | 19 | 54—67 | 38 |
| „სპარტ.“ ც. | 42 | 14 | 9 | 19 | 65—67 | 37 |
| „სქური“ | 41 | 14 | 8 | 19 | 51—58 | 36 |
| პოლ. ინსტ. | 40 | 15 | 4 | 21 | 58—61 | 34 |
| „ეგრისი“ | 40 | 11 | 12 | 17 | 36—52 | 34 |
| „ჩიხურა“ | 42 | 12 | 9 | 21 | 59—66 | 33 |
| „დურუჯი“ | 41 | 12 | 4 | 25 | 30—60 | 28 |

### II ჯგუფი

#### I ზონა

„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „გამთიადი“ (თბილისი) 1:1, „ფიჩხოვანი“ (ახმეტა) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 3:1, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „გამარჯვება“ (გარდაბანი) 13:1, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — ტაქსომოტორი № 3 (თბილისი) 1:2, „ვარძია“ (ასპინძა) — ტაქსომოტორი № 3 (თბილისი) 0:1, „იორი“ (თიანეთი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 2:5, „ცისკარი“ (სიღნაღი) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 2:1, „თრიალეთი“ (წალკა) — „ვარძია“ (ასპინძა) 1:1, „განახლება“ (ადიგენი) — „სიონი“ (ბოლნისი) 1:2, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „განთიადი“ (თბილისი) 2:2, „გამარჯვება“ (გარდაბანი) — „განახლება“ (ადიგენი) 1:6, „სიონი“ (ბოლნისი) — „არაგვი“ (მცხეთა) 4:2, „მესხეთი“ (ახალციხე) — „აბული“ (ახალქალაქი) 2:1, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 1:1, „გარეჯი“ (საგარეჯო) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:2, „ქართლი“ (გორის რაიონი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:2, ტაქსომოტორი № 3 (თბილისი) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 2:1. ადიგენის „განახლებას“ გამარჯვება ჩაეთვალა ახმეტის „ფიჩხოვანთან“.

#### II ზონა

„ნარუჯა“ (მახარაძე) — „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი) 0:0, „სენაკი“ (ცხაკაია) — „იმერეთი“ (წულუკიძე) 2:5, „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 1:1, „ავტომობილისტი“ (ბათუმი) — „ნაკადული“ (ჩხოროწყუ) 4:2, „ოჯალეში“ (ბანძა) — „მექალალდე“ (ზუგდიდი) 2:1, „შახტიორი“ (ტყვარჩელი) — „ოჯალეში“ (ბანძა) 3:2, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ავტომობილისტი“ (აბაშა) 3:3, „შუქურა“ (ქობულეთი) — „სენაკი“ (ცხაკაია) 2:1, „იმერეთი“ (წულუკიძე)—„ნარუჯა“ (მახარაძე) 4:0, „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი) — „მეშაქრე“ (აგარა) 7:0, ზუგდიდის „მექალალდეს“ გამარჯვება ჩაეთვალა წყალტუბოს „სამგურალთან“.

### ზონალური პირველობა

„ლესიჭინე“ (ჩხოროწყუ) — ჩაის საბჭოთა მეურნეობა (ჩაქვი) 2:1, „მადნეული“ (ბოლნისი) — „ალგეთი“ (მარნეული) 4:1, „ბაზალტი“ (ბოლნისი) — „ღრმაღელე“ (ლანჩხუთი) 1:1, „ალგეთი“ (მარნეული) — „ბაზალტი“ (ბოლნისი) — 1:0, „ბაზალტი“ (ბოლნისი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 1:1, „ლესიჭინე“ (ჩხოროწყუ) — „ალგეთი“ (მარნეული) 5:2, „ღრმაღელე“ (ლანჩხუთი) — „ალგეთი“ (მარნეული) 3:2, „ლესიჭინე“ (ჩხოროწყუ) — „მადნეული“ (ბოლნისი) 3:0, ჩაის საბჭოთა მეურნეობა (ჩაქვი) — „ბაზალტი“ (ბოლნისი) 5:2.

გათამაშებას 7 ქულით ლიდერობს „ლესიჭინე“, 6 ქულით II ადგილზეა „ღრმაღელე“.

### საჯარიმო დარტყმა

მეტოქე ფეხბურთელის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს ფოთის „კოლხეთის“ მოთამაშე ვ. გუდავაძე. რუსთავის „მეტალურგის“ წევრმა კ. კერესელიძემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მატჩის არბიტრს, რისთვისაც ისიც გაძევებული იქნა მინდვრიდან. ასეთივე ზომას მიმართეს სენაკელი თ. ელიავას მიმართ, რომელმაც მსაჯი სიტყვიერად შეურაცხყო. სამივე ხულიგანი საკადრის სასჯელს მიიღებს.

მესამე გაფრთხილება მიიღეს თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრებმა პ. ქავთარაძემ და ი. გილაურმა, აგრეთვე, ტყვარჩელელმა ს. კოზმავამ.

გაფრთხილებები მიეცათ შემდეგ ფეხბურთელებს: მ. აბაშიძეს, („მერცხალი“, მახარაძე), ნ. მეტრეველს („ალაზანი“, გურჯაანი), თ. მეტრეველს („განათლება“, ადიგენი), ბ. უგულავას („სიონი“, ბოლნისი), გ. გრიგორიანს და ა. ცინაძეს (ორივე — „ვარძია“, ასპინძა), რ. წურწუმიას („კოლხეთი“, ხობი), ბ. გიგიბერიას („სენაკი“, ცხაკაია), თ. კიკალიშვილს („იმერეთი“, წულუკიძე), გ. გოგელიას („ღრმაღელე“, ლანჩხუთი), ვ. წულუკიას („შახტიორი“, ტყვარჩელი).

**საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.**

# მთავარი რეკორდი სიჯანსაღეა

**თბილისის** სპორტის სასახლე სანიმუშო წესრიგისა და კულტურის კერაა. იმ დღესაც აქ ყველაფერი სანიმუშოდ მოეწყოთ. კულტურის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების გაერთიანებული კომიტეტის II საქალაქო სპარტაკიადის საზეიმო დახურვაზე მოსულების თვალსა და გულს ახარებდა მაგიდაზე გამოფენილი მრავალრიცხოვანი თასები, ვიმპელები და სიგელები, რომლებიც თითქმის ერთთვიან ბრძოლებში თავგამოჩენილი სპორტსმენების, გუნდების, მათი ხელმძღვანელების, ორგანიზატორების დასაჯილდოებლად იყო მოტანილი.

ქალაქის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების მშრომელთა ჯანმრთელობის სპარტაკიადა, რომელიც სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის ერთი და კომკავშირის სამოცი წლისთავს მიეძღვნა, ექვს ისეთ სახეობაში ჩატარდა, რომლებიც მშრომელებისთვის ხელმისაწვდომი იყო.

პირველი ამგვარი ტურნირი გასულ წელს გაიმართა და საქმაო რეზონანსიც ჰქონდა, ამიტომაც, ამჯერად სპარტაკიადის მონაწილე კოლექტივების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის (თავმჯდომარე ა. მხეიძე) და თბილისის სპორტკომიტეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შეჯიბრებები კარგად, ორგანიზებულად ჩატარდა, რამაც მშრომელთა დაინტერესება კიდევ უფრო გაზარდა.

სპარტაკიადაში განსაკუთრებული გულმოდგინება გამოიჩინეს ფიზკულტურის ტექნიკუმის, ქალაქის სპორტკომიტეტის, საქსპორტლოტოს სამმართველოს, „საქსპორტპროექტის“, საცხენოსნო ბაზის ფიზკულტურის კოლექტივებმა, რომლებმაც პროგრამის ყველა სახეობაში სცადეს ძალა.

ყველამ კარგად იცოდა, რომ ამ ასპარეზობებში რესპუბლიკური, საკავშირო რეკორდები არ დამყარდებოდა, ვინაიდან ამის ძალა არავის შესწევდა. მაგრამ მთავარი რეკორდი გახლდათ მისი მასობრიობა, ის, რომ ამგვარი შეხვედრები ხელს უწყობს მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცებას.

სპარტაკიადაში ყველას აჯობა ფიზკულტურის ტექნიკუმის პედაგოგთა და თანამშრომელთა ნაკრებმა, რომელმაც გუნდური ორი პირველი და ამდენივე მესამე ადგილები მოიპოვა. მათ სულ 24,5 საჯარიმო ქულა მოუგროვდათ, 3 ქულით ნაკლები, ვიდრე ქალაქის სპორტკომიტეტის კოლექტივს, რომელმაც ჭადრაკის / სასახლის გუნდთან სწორედ ჭადრაკში I და II ადგილები გაიყო. მინი-ფეხბურთის [illegible] ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა შორის კი III ადგილებზე გავიდა.

ზეიმის დასასრულს გაიმართა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლ „აისის“ კონცერტი.

კულტურის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების გაერთიანებული კომიტეტის ამ კარგ ღონისძიებას სხვა გაერთიანებულმა კომიტეტებმაც უნდა მიბაძონ.

**ჯ. ქვარცხავა,**
**მ. სამადაშვილი.**

## ემზადებიან საქართველოს VII სპარტაკიადისთვის

**საქართველოს** VII სპარტაკიადის პროგრამით ზუგდიდში ჩატარდა ზონალური შეჯიბრება მრავალჭიდში შაშხანის სროლაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ დოსაათის წალენჯიხის, ხობის, ცხაკაიას, ზუგდიდის რაიონული და ფოთისა და ზუგდიდის საქალაქო კომიტეტების გუნდები.

I ადგილი დაიკავა ხობის ნაკრებმა — 609 ქულა, II — ცხაკაიას კოლექტივმა — 578, III ადგილზე გავიდნენ ზუგდიდის რაიონის სპორტსმენები — 577.

ქალთა შორის პირადი პირველობა მოიგო მ. მანიამ (ზუგდიდის რაიონი), ვაჟებში იმარჯვა ზ. ფარცვანიამ (ქ. ზუგდიდი).

მშდ-ს ნორმატივები ჩააბარა 30 კაცმა.

**მ. კუხალეიშვილი,**
**დოსაათის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.**

* * *

**სახალხო** დეპუტატების ონის რაიონული საბჭოს აღმასკომში ჩატარდა რაიონის VII სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა. სხდომამ მოისმინა ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის შ. ქოჩლაძის ინფორმაცია ფიზკულტურულ კოლექტივებში სპარტაკიადის პირველი ეტაპის შეჯიბრებების მიმდინარეობასა და სარაიონო სპარტაკიადისთვის მზადების შესახებ.

რაიონული სპარტაკიადა ჩატარდება 7 სახეობაში. სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ დაკომპლექტდება ნაკრები გუნდები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის ზონალურ პირველობაზე.

**თ. კერვალიშვილი.**

## ახალი სასწავლო წელი დაიწყო

**ვ. ი. ლენინის** სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონის სპორტის ოსტატთა კლუბში ჩატარდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის თბილისის სახალხო უნივერსიტეტის ახალი სასწავლო წლის პირველი გაერთიანებული მეცადინეობა.

უნივერსიტეტში (რექტორი — პროფესორი ვ. ელაშვილი) შექმნილია ოთხი ფაკულტეტი, რომლებშიც გაერთიანებულია ქალაქის ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკები.

პირველ მეცადინეობაზე იყვნენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ხელმძღვანელები, მწვრთნელები, ინსტრუქტორ-მეთოდისტები.

ახლა, როცა კარზეა მომდგარი სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა, მოსკოვის ოლიმპიური თამაშები, ზედმეტი როდია ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკთათვის თეორიული ცოდნის გაღრმავება, გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

მორიგი მეცადინეობა ჩატარდება ნოემბრის ბოლოს, ფაკულტეტების მიხედვით.

**ოი. ჯებაშვილი,**
**თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.**

## ტანვარჯიში

**მხოლოდ ერთი ოქროს მედალი დათმეს საბჭოთა სპორტსმენებმა ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში დამთავრებულ ევროპის პირველ ჩემპიონატზე მხატვრულ ტანვარჯიშში. ჩვენს ნაკრებს 4 ოქროს და 5 ვერცხლის მედალი აქვს.**

25 წლის ომსკელმა **გალიმა შუგუროვამ**, მსოფლიოს 1973 წლის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, რომელმაც ამ წლებში ევროპის აბსოლუტური ჩემპიონობაც დაუმატა, თავის ნადავლს შეჯიბრების ბოლო დღეს კიდევ ორი ოქროს მედალი შემატა მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში. იგი უძლიერესი იყო სახტუნელათი (19,35 ქულა) და ზონრით (19,2) ვარჯიშში.

გ. შუგუროვას მუდმივმა მეტოქემ — მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა, 20 წლის კიეველმა **ირინე დერიუგინამ** გაიმარჯვა ბურთით ვარჯიშში — 19,6. ი. დერიუგინამ ჩემპიონატის ფინალური დღის ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო — 9,9 ქულა.

— დიდი ხანია ვოცნებობდი ასეთ გამარჯვებაზე და ბედნიერად ვგრძნობ თავს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ კონტინენტის პირველი ჩემპიონი გავხდი და მეორეც იმიტომ, რომ გამარჯვებას სახელოვან მეტოქეებთან მწვავე ბრძოლაში მივაღწიე — უთხრა ჟურნალისტებს გ. შუგუროვამ.

სპორტის მოყვარულებმა, ცხადია, იციან, რომ გ. შუგუროვა ბოლო წლებში, როგორც წესი, II ადგილზე გამოდიოდა ი. დერიუგინას შემდეგ. მაგრამ იგი ყოველთვის რჩებოდა მხატვრულ ტანვარჯიშში ნატიფი, პლასტიკური სტილის მიმდევრად.

### 4 „ოქრო“, 5 „ვერცხლი“

თუ გ. შუგუროვასა და ი. დერიუგინას გამარჯვება, ასე ვთქვათ, ლოგიკური იყო, მადრიდის ჩემპიონატის უდავო სენსაციას წარმოადგენდა ესპანელი **სუსანა მენდესაბელის** II ადგილი მრავალჭიდში (28,05 ქულა). ესოდენ დიდი რანგის შეჯიბრების დებიუტანტმა ერთნაირად მოხიბლა მაყურებლებიცა და მსაჯებიც. მან უკან ჩამოიტოვა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი კარმენ რიშარი (გფრ), ილიანა რაევა და კრისტინა გიუროვა (ორივე — ბულგარეთი).

ჯგუფურ ვარჯიშში საბჭოთა სპორტსმენები ამჯერად მეორენი იყვნენ ბულგარელების შემდეგ.

**გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს.**

**მრავალჭიდი:** 1. შუგუროვა — 28,95; 2. დერიუგინა — 28,65; 3. მენდესაბელი — 28,05.

**ვარჯიში სახტუნელათი:** 1. შუგუროვა — 19,35; 2. დერიუგინა — 19,2; 3. გიუროვა — 19,05.

**ვარჯიში ბურთით:** 1. დერიუგინა — 19,6; 2. შუგუროვა — 19,55; 3. გიუროვა — 19,05.

**ვარჯიში ზონრით:** 1. შუგუროვა — 19,2; 2. დერიუგინა — 19,05; 3. დანიელა ბოშანსკა (ჩეხოსლოვაკია) — 19,05.

**ჯგუფური ვარჯიში:** 1. ბულგარეთი — 38,625; 2. სსრ კავშირი — 38,600; 3. ჩეხოსლოვაკია — 38,600.



ბუდაპეშტის წამყვანმა სპორტულმა კლუბმა მტკ-ამ უნგრეთის დედაქალაქის ნორჩ მოქალაქეთათვის ნიჩბოსნობის სექციის მეცადინეობა მოაწყო. ახალგაზრდა სპორტსმენების ვარჯიში მდინარე დუნაიზე მიმდინარეობს.



ეს ხელოვნური მთა ამსტერდამის (ჰოლანდია) მახლობლად შექმნეს ზამთრის სპორტის სახეობათა ენთუზიასტებმა.

## [illegible]

იწყება ოლიმპიური ნივთებისა და ფულადი ლატარია „სპრინტის“ „ზს“-ის სერიის ბილეთების რეალიზაცია.

ბილეთის ღირებულებაა 50 კაპიკი.

**სულ თამაშდება 10 ავტომანქანა, მათ შორის: „ვოლგა გაზ-24“, „ჟიგული“, „მოსკვიჩი“, „ზაპოროჟეცი“; სხვადასხვა მარკის 19 მოტოციკლი: „დნეპრი“, „ურალი“, „იუპიტერი“, „პლანეტა“.**

**ლატარიით თამაშდება ფულადი მოგებები 1 მანეთიდან 5000 მანეთამდე.** ყველაზე მცირე მოგება „სპრინტის“ ბილეთის განმეორებით მიღების უფლებას იძლევა.

იმ ბილეთის მფლობელს, რომელსაც არ მიუღია მოგებული თანხა 25 მანეთის ჩათვლით, ანდა არა აქვს გამოცვლილი წინა სერიის „თაე“ და „ეშ“ ბილეთები, შეუძლია გადაცვალოს ამჟამად ახალი სერიის ბილეთზე.

„სპრინტის“ ბილეთის შეძენა შეიძლება გამავრცელებლებთან, „სოიუზპეჩატის“ ჯიხურებში და შემნახველ სალაროებში.

**მიიღეთ მონაწილეობა ოლიმპიურ ლატარია „სპრინტში“!**

**საქსპორტლოტო.**

## 44-ე ტირაჟი და მისი შედეგები

„სპორტლოტოს“ 44-ე ტირაჟებში მოგებანი ხვდათ შემდეგ ციფრებსა და სახეობებს:

**6 — 49-დან:**

**პირველი:** 3 (აკრობატიკა), 5 (ბადმინტონი), 7 (ბიატლონი), 10 (საბუერო სპორტი), 22 (ციგურები), 33 (რეგბი). შეღავათიანი ბურთულა — 13 (წყალსათხილამურო სპორტი).

**მეორე:** 10 (საბუერო სპორტი), 26 (მოტობურთი), 31 (ცურვა), 33 (რეგბი), 37 (სროლა), 40 (ტურიზმი). შეღავათიანი ბურთულა — 22 (ციგურები).

**5 — 36-დან:**

**პირველი:** 2 (ბიატლონი), 15 (ძიუდო), 16 (ცხენოსნობა), 29 (ტყვიის სროლა), 36 (შაიბიანი ჰოკეი).

**მეორე:** 1 (კალათბურთი), 6 (კლასიკური ჭიდაობა), 26 (სამბო), 30 (სასტენდო სროლა), 32 (ფარიკაობა).

ისინი, ვინც ამ ტირაჟებში „სპორტლოტო 6—49-დან“ პირველ გათამაშებაში ხუთი ნომერი ამოიცნო, მიიღებენ 3505 მანეთს. ოთხი პლიუს ერთი ნომრის ამოცნობისთვის მოგება 72 მანეთია, ოთხი ნომრისთვის — 47, ხოლო სამისთვის — 3 მან.

მეორე გათამაშებაში ხუთი გამოცნობილი ნომრისთვის მოგება 3111 მანეთს შეადგენს. ოთხი პლიუს ერთი ნომრის ამოცნობისთვის — 76 მანეთს, ოთხი ნომრის ამოცნობისთვის 51 მან., სამისთვის — 3 მან.

„სპორტლოტოში 5—36-დან“ პირველ გათამაშებაში ოთხი ამოცნობილი ნომრისთვის მოგება 225 მანეთია, ხოლო სამისთვის — 3 მან.

მეორე გათამაშებაში ხუთი ნომრის ამოცნობისთვის მოგება 10000 მანეთს შეადგენს, ოთხისთვის — 293-ს, სამისთვის — 9 მანეთს.

## 45-ე ტირაჟები

11 ნოემბერს გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, 45-ე ტირაჟები.

აი, იღბლიანი ციფრები და სახეობები:

**6—49-დან:**

**პირველი:** 12 (წყალსამოტორო სპორტი), 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 28 (მაგიდის ჩოგბურთი), 41 (ჩოგბურთი), 46 (ჰოკეი). შეღავათიანი ბურთულა — 8 (კრივი).

**მეორე:** 7 (ბიატლონი), 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 16 (ტანვარჯიში), 22 (ციგურები), 24 (თხილამურები), 38 (მშვილდოსნობა). შეღავათიანი ბურთულა — 17 (მხატვრული ტანვარჯიში).

**5—36-დან:**

**პირველი:** 1 (კალათბურთი), 6 (კლასიკური ჭიდაობა), 7 (ტრეკზე რბოლა), 11 (ტანვარჯიში), 29 (ტყვიის სროლა).

**მეორე:** 9 (წყალბურთი), 25 (ციგაობა), 26 (სამბო), 33 (ფიგურული სრიალი), 36 (შაიბიანი ჰოკეი).

## ფეხბურთი

### პირველი მატჩი — ფრედ

**პარიზი,** 13 ნოემბერი. სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებმა მონაკოში ჩაატარა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის პირველი მატჩი პოლონეთის ნაკრებთან და ფრედ დაამთავრა იგი — 2:2 (1:0). ჩვენი გუნდიდან გოლები გაიტანეს ოვჩინიკოვმა (დონეცკის „შახტიორი“) და კოლესნიკოვმა (მოსკოვის „ლოკომოტივი“). ამ ჯგუფში გამოდიან, აგრეთვე, საფრანგეთისა და იტალიის გუნდები.

●

### „მეტალისტი“ — I ლიგაში

**როგორც** ცნობილია, ამჟამად მიმდინარეობს გადამწყვეტი შეხვედრები ფეხბურთელთა იმ გუნდებს შორის, რომლებმაც გაიმარჯვეს II ლიგის ზონებში და ახლა იბრძვიან I ლიგაში გადასასვლელად.

პირველი ასეთი გუნდი გამოვლინდა. ესაა ხარკოვის „მეტალისტი“, რომელმაც თავის მინდორზე ანგარიშით 1:0 დაამარცხა ვორონეჟის „ფაკელი“ და ასეთივე ანგარიშით წააგო მატჩი ვორონეჟში. საჭირო შეიქნა დამატებითი პენალტების დანიშვნა, სადაც უფრო ზუსტნი „მეტალისტის“ ფეხბურთელები აღმოჩნდნენ.

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-11, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-58-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02293